

*საქართველოში პროფესიული განათლების სწავლის
სფეროების შინაარსობრივი ცვლილებები და
ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მათი
შესაბამისობა*

თემატური ანალიზი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი



ნინო ხითარიშვილი
ქეთევან ციხისელი
საბა ელაშვილი
გიორგი მუნჭიშვილი

თბილისი
2021 წელი

სარჩევი

1. მადლობა.....	2
2. შესავალი.....	2
3. კვლევის მიზანი.....	2
4. კვლევის მეთოდოლოგია.....	3
5. კვლევის შეზღუდვები.....	4
6. მომსახურების სფეროს ანალიზი.....	5
6.1. არსებული სიტუაციის აღწერა - მომსახურებების სფერო.....	5
6.2. შრომის ბაზრის ანალიზი - მომსახურებების სფერო.....	6
6.3. ევროპული ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა გერმანიისა და ესტონეთის მაგალითზე.....	10
6.4. მომსახურების სფერო - ძირითადი მიგნებები იდენტიფიცირებული.....	13
7. არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროს ანალიზი.....	14
7.1. არსებული სიტუაციის აღწერა - არქიტექტურისა და მშენებლობის სფერო.....	14
7.2. შრომის ბაზრის ანალიზი - არქიტექტურისა და მშენებლობის სფერო.....	15
7.3. ევროპული ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა გერმანიისა და ესტონეთის მაგალითზე.....	17
7.4. არქიტექტურა-ძირითადი მიგნებები.....	20
8. სოფლის მეურნეობის, მეტყვევობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის სფეროს ანალიზი.....	21
8.1. არსებული სიტუაციის ანალიზი.....	21
8.2. შრომის ბაზრის ანალიზი.....	22
8.3. პროფესიული კვალიფიკაციები და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები.....	27
8.4. ევროპული ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა გერმანიისა და ესტონეთის მაგალითზე.....	29
9. თემატური ანალიზის ძირითადი მიგნებები.....	32
10. დასკვნები და რეკომენდაციები.....	33
11. გამოყენებული ლიტერატურა.....	35

1. მადლობა

სამუშაო ჯგუფი მადლობას უხდის დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ დოქტორ შტეფან კარშტენსა და ესტონეთის ფონდ, “ინოვას” განათლების სააგენტოს მრჩეველ, ვაიე პისკოპს ანალიზის მომზადების პროცესში გაწეული კონსულტაციებისთვის, ასევე ევროკავშირის დაძმობილების პროექტს „ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“ (Twining) და მის ადგილობრივ მრჩეველს ქაი ეთზოლდს, პროექტის წარმომადგენლებს, ანა მებუკესა და ნათია ღვინჯილიას გაწეული ტექნიკური დახმარებისათვის.

2. შესავალი

საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო ოფიციალურ დოკუმენტად მიღებული იქნა 2010 წლის 10 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. ჩარჩო წარმოადგენდა განათლების სისტემის სამი ძირითადი ქვესისტემის (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) კვალიფიკაციათა ჩარჩოების ნაერთს. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემდგომი განვითარებისა და მისი ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 2014 წლიდან დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, რომელთა შედეგადაც 2019 წლის 10 აპრილს დამტკიცდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. აღნიშნული პროცესის შედეგად ძირეულად შეიცვალა კვალიფიკაციების ფორმირებასთან დაკავშირებული მიდგომა და ის დასაქმების პოზიციის ნაცვლად ორიენტირებული გახდა სწავლის სფეროზე. შესაბამისად, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ჩამოყალიბების პროცესში ბევრი პროფესიული კვალიფიკაცია შეერწყა ერთმანეთს, ბევრი კი - საერთოდ გაქრა სისტემიდან.

3. კვლევის მიზანი

წინამდებარე თემატური ანალიზის მიზანია წარმოადგინოს მომსახურების, არქიტექტურისა და მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, მეტყვეობის, მეთევზეობის და ვეტერინარიის სწავლის სფეროებში არსებული პროფესიული კვალიფიკაციების ანალიზი და განიხილოს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან მათი შესაბამისობა, ასევე მოახდინოს იმ სწავლის სფეროების/პროფესიული კვალიფიკაციების იდენტიფიცირება,

რომლებიც ამ ეტაპზე არ შედის სწავლის სფეროების კლასიფიკატორში, თუმცა მათზე არსებობს გამოხატული მოთხოვნა შრომის ბაზრის მხრიდან.

თემატური ანალიზის შედეგები შესაძლოა გამოყენებული იქნას პროფესიული კვალიფიკაციების შემდგომი განვითარებისა და გადახედვის მიზნებისთვის.

4. კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე ანალიზის ჩატარებისათვის გამოყენებული იქნა სამაგიდო კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა დაეფუძნა მეორადი მონაცემების ანალიზს. მასალების შერჩევის დროს უპირატესობა მიენიჭა 2018-2020 წლებში ჩატარებული კვლევებს. კერძოდ, გაანალიზდა: შერჩეული სწავლის სფეროების შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციები საქართველოს, გერმანიისა და ესტონეთის მაგალითზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევები: “უნარებზე სანარმოთა მოთხოვნის კვლევა” (2020 წელი), უნარებზე სანარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა (2018 წ.), საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი (2018-2019 წ.), სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა (2019), ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა (2018). ევროკავშირი საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევა შრომითი ბაზრის ანალიზი 2018-2019, ასევე, ევროკავშირის პროექტის “ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისათვის” მიერ ჩატარებული კვლევის მასალები.

საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაციის შედეგად, საკვლევი კითხვები განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. რამდენად შეესაბამება საქართველოში არსებული პროფესიები ან პროფესიული კვალიფიკაციები შრომის ბაზრის სტრუქტურას?
2. რამდენად შეესაბამება საქართველოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორი და აქ არსებული პროფესიული კვალიფიკაციები ევროპული ქვეყნების კვალიფიკაციებს და როგორია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეების მიხედვით ამ კვალიფიკაციების განაწილება?
3. რამდენად პასუხობს არსებული პროფესიული კვალიფიკაციები შინაარსობრივად შრომის ბაზრის მოთხოვნებს საქართველოში?

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში თავდაპირველად დაგეგმილი იყო ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სრული ანალიზი, თუმცა საერთაშორისო ექსპერტებთან თემების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ არსებული

შეზღუდული რესურსების (დროითი, ადამიანური) პირობებში, შეუძლებელი იქნებოდა ყველა სფეროს მოცვა, ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ანალიზის ფარგლებში განხილულიყო სწავლის სამი სფერო: არქიტექტურა და მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია და მომსახურებები.

ასევე, ევროპული გამოცდილების ანალიზისთვის შეირჩა ორი ქვეყანა: გერმანია და ესტონეთი, რაც განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორის გამო: გერმანიისა და ესტონეთის საკვალიფიკაციო ჩარჩოები, ისევე როგორც საქართველოს ჩარჩო, არის 8 დონიანი, შესაბამისად, კვალიფიკაციების დონეების ჭრილში შედარებითი ანალიზისთვის ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული. ამასთან ესტონეთი და გერმანია წარმოადგენენ კოპენჰაგენის პროცესის მონაწილე ქვეყნებს და მათი პროფესიული განათლების ხარისხი აღიარებულია ევროპის პროფესიული საგანმანათლებლო სივრცეში, შესაბამისად, მათი გამოცდილება განხილული იქნა როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

ნაშრომში შერჩეული სწავლის სფეროების ანალიზი განხორციელდა შედარებითი ანალიზის გზით, რისთვისაც ანალიტიკური ნაწილის სტრუქტურა განისაზღვრა შემდეგნაირად: თავდაპირველად განხილული იქნა საქართველოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორში კონკრეტული სწავლის სფერო და გამოიყო ის კვალიფიკაციები, რომელთა მომზადებაც ხდება ქვეყნის შიგნით, შემდეგ გაანალიზდა შრომის ბაზრის მდგომარეობა და განისაზღვრა მოთხოვნადი პროფესიები, მესამე ეტაპზე გაანალიზდა იგივე სწავლის სფეროსთან დაკავშირებული გერმანიასა და ესტონეთში არსებული პროფესიული კვალიფიკაციები, ხოლო ბოლოს გაკეთდა დასკვნითი ნაწილი, რომელმაც ერთი მხრივ, განსაზღვრა ის კვალიფიკაციები, რომლებიც მოთხოვნადია შრომის ბაზრისთვის და რომლებიც არ მზადდება დღეს ქვეყანაში, ხოლო, მეორე მხრივ, აჩვენა, რომ ეს კვალიფიკაციები ნამდვილად წარმოადგენენ პროფესიულ კვალიფიკაციებს და ისინი წარმატებით ხორციელდება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

5. კვლევის შეზღუდვები

კვლევის შეზღუდვად განისაზღვრა ადამიანური და დროითი რესურსის ნაკლებობა, რის გამოც თემატური ანალიზის ფარგლებში განხილული იქნა მხოლოდ სამი სწავლის სფერო და ის შედარებულ იქნა ორი ევროპული ქვეყნის გამოცდილებას.

ასევე, კვლევის შეზღუდვად გვევლინება შესაბამისი მეორადი მასალის - შრომის ბაზრის კვლევების ნაკლებობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბოლო

პერიოდამდე არ იყო დანერგილი შრომის ბაზრის სისტემატური კვლევების პრაქტიკა. ჩატარებულ კვლევებს ჰქონდა სპონტანური ხასიათი. მხოლოდ ბოლო წლებში დაიწყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სისტემატური კვლევების ჩატარება. ამ დრომდე იშვიათად ტარდება სექტორული კვლევებიც. კვლევითი მასალების შემზღუდული რაოდენობიდან გამომდინარე, მესამე საკვლევ საკითხზე ნაწილობრივ განხორციელდა პასუხის გაცემა.

6. მომსახურების სფეროს ანალიზი

6.1. არსებული სიტუაციის აღწერა - მომსახურებების სფერო

საქართველოში მომსახურების სფეროში, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, განსაზღვრულია შემდეგი ვიწრო სწავლის სფეროები:

101-პერსონალური მომსახურებები, აღნიშნული დეტალური სფეროს შიგნით მოცემულია შემდეგი პროფესიული კვალიფიკაციები:

1012 - თმისა და სილამაზის მომსახურებები, რომელიც მოიცავს ერთ კვალიფიკაციას-თმისა და სილამაზის მომსახურება;

1013 - სასტუმრო, რესტორანი და კვება, რომელიც აერთიანებს 5 კვალიფიკაციას: სასტუმროს მომსახურება, სარესტორნო მომსახურება, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, სასტუმროს მენეჯმენტი;

1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება, რომელიც მოიცავს ერთ პროფესიულ კვალიფიკაციას - სათავგადასავლო ტურიზმი;

102-ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებები;

103 - უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები, აღნიშნული დეტალური სფეროს შიგნით მოცემულია ერთი პროფესიული კვალიფიკაცია:

1032-ადამიანებისა და საკუთრების დაცვა, რომელიც აერთიანებს საბაჟო საქმის კვალიფიკაციას;

104-ტრანსპორტის მომსახურებები, აღნიშნული დეტალური სფეროს შიგნით მოცემულია შემდეგი პროფესიული კვალიფიკაციები:

1041-ტრანსპორტის მომსახურებები, რომელიც აერთიანებს: ამწის ოპერირების, თევზსაჭერი გემის ნავიგაციის, საჰაერო ხომალდების

საფრენოსნო ექსპლუატაციის, საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის, გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის, რკინიგზის ოპერირების კვალიფიკაციებს.

კლასიფიკატორი მომსახურებების ნაწილში ასევე აერთიანებს შემდეგ სწავლის სფეროებს: 1011 - საშინაო (საოჯახო-საცოფაცხოვრებო) მომსახურება, 1014-სპორტი, 1021-საზოგადოებრივი სანიტარია, 1022 - პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, 1031 - სამხედრო საქმე და თავდაცვა - რომლებიც ამ ეტაპზე ცარიელია ანუ ამ სწავლის სფეროების შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციები ქვეყანაში არ არსებობს.

აღნიშნული კვალიფიკაციებისათვის ქვეყანაში მოქმედებს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები: “თმისა და სილამაზის მომსახურება”, “სასტუმრო, რესტორანი და კვება”, “სასტუმროს მენეჯმენტი”, “სათავგადასავლო ტურიზმი”, “საბაჟო საქმე” , “ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება”, “თევზსაჭერი გემის ნავიგაცია”, “საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია”, “საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება”, “რკინიგზის ოპერირება”.

6.2. შრომის ბაზრის ანალიზი - მომსახურებების სფერო

საინტერესოა, რამდენად უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული კვალიფიკაციები შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნას მომსახურების სფეროში. აღნიშნული ანალიზის ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ საქართველოში აქტიურად ვითარდება მომსახურების სფერო და სამუშაო ადგილების 53% კონცენტრირებულია სწორედ მომსახურების სფეროში.¹ ამასთან, მომსახურების სფეროში კადრებზე არსებული მაღალი მოთხოვნა ფიქსირდებოდა 2018-2019 წლებშიც.

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების (worknet.gov.ge) დეპარტამენტის 2018 წლის მონაცემების მიხედვით “მინოდებული ვაკანსიების მიხედვით ყველაზე დიდი მოთხოვნა მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე მოდიოდა (56%).² კერძოდ, დამსაქმებლების მხრიდან ყველაზე მოთხოვნად პროფესიულ ჯგუფებს განეკუთვნებოდა: დამლაგებელი/დიასახლისი/დასუფთავების სპეციალისტი; კონსულტანტი/მოლარე-კონსულტანტი; დაცვის თანამშრომელი, მძღოლი,

¹ წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020


² წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, “საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019

მზარეული. ამავე წელს დასაქმების სააგენტოს hr.ge-ის მიხედვით, გამოქვეყნებული ვაკანსიების უმრავლესობა მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე მოდიოდა (31.5%). განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნა ფიქსირდებოდა: მზარეულებზე, ბარმენებზე, შინამოსამსახურეებზე, კოსმეტოლოგებზე, მოლარისა და სტილისტის პოზიციებზე.

2018 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ჩაატარა ტურიზმის სექტორის კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ ტურიზმის სფეროში შემდეგი ვაკანტური პოზიციების შევსება იყო პრობლემური: მზარეულები, მიმტანები, გიდები, სასტუმროს მენეჯერები, სასტუმროს მიმღები ოპერატორები, მოგზაურობის კონსულტანტების პოზიციები. ასევე პრობლემები დაფიქსირდა დამლაგებლებისა და ნარჩენების გამტანების მოძიების მხრივაც.

შრომის ბაზრის 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, დასაქმების სტრუქტურა ISCO-2008 -ის ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით აჩვენებდა, რომ მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 23.6%-ს შეადგენდა. ამასთან, გამოცხადებული ვაკანსიების მიხედვით ყველაზე მოთხოვნადი იყო: დამლაგებლებისა და მათი დამხმარეების (6.4%), მაღაზიის გაყიდვების ასისტენტების (6.1%), გაყიდვების წარმომადგენლების (4.5%), მიმტანების (3.3%), უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების (2.5%) პოზიციები. ამასთან, გამოცხადებული ვაკანსიების 64.25% შეუვსებელი დარჩა.


დიაგრამა #1



პარადოქსულია, რომ სამუშაო ძალის დეფიციტის პირობებშიც კი, დასაქმებულთა შორის ყველაზე მცირედით არის წარმოდგენილი პროფესიული

განათლების მქონე ადამიანები (14.2%)³ და ის ჩამორჩება საშუალო განათლების მქონე დასაქმებულების რაოდენობას (28%). ამასთან, გამოკითხული საწარმოების მხოლოდ 15% ჰყავს პროფესიული განათლების მქონე ადამიანი დასაქმებული.⁴ ტურიზმის სექტორში საწარმოთა 25% ჰყავს პროფესიული განათლების მქონე კადრი დასაქმებული. ყველაზე მეტი დასაქმებულია ტრანსპორტის სფეროში 38%, ხოლო ტურისტულ მომსახურებაში მხოლოდ 1%. ტურიზმის სფეროში საწარმოთა 60% აზრით, პროფესიულის კადრებს არ სჭირდებათ დამატებითი გადამზადება, 8% ფიქრობს რომ სჭირდებათ, ხოლო 32% გაუჭირდა პასუხის გაცემა.

დიაგრამა #2



თემატური ანალიზის მიზნებისთვის განხილული იქნა ასევე დამსაქმებელთა მხრიდან დასაქმებულთა პროფესიული უნარების შეფასება. 2020 წლის “უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა” აჩვენებს, რომ ვაკანტური პოზიციების შეუვსებლობის მიზეზებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა აპლიკანტთა არაკვალიფიციურობა (28.7%), აპლიკანტების რაოდენობის ნაკლებობა (19.3%) და გამოცდილების ნაკლებობა (18.6%). 2018 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ

³ წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, “უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2020”.

⁴ წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, “უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2020”.

ჩატარებულ “ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევაში” ასევე ნათლად გამოჩნდა უნარების მხრივ პროფესიული ჯგუფების ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნულ სფეროში არაკვალიფიციურობასთან დაკავშირებით დასახელდა შემდეგი კომპეტენციების ნაკლებობა: უცხო ენები, მომსახურების უნარები, პრობლემის გადაჭრის უნარები, კომუნიკაციის უნარები, პროფესიული ცოდნა.⁵ **ზემოაღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ამ სფეროს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების/გადამუშავების პროცესში.**

ინტერეს ინვესს რატომ არის პროფესიული განათლების მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებელი ასეთი დაბალი. ამის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი:

- ა) პროფესიული განათლების მქონე პირთა რაოდენობა დაბალია;
- ბ) პროფესიული განათლების მქონე პირთა კვალიფიკაცია დაბალია;
- გ) პროფესიული განათლების შესახებ დამსაქმებელთა ცნობადობა დაბალია;
- დ) პროფესიული განათლების არ მქონე პირი უფრო იაფია დამსაქმებლისათვის ანუ დამსაქმებელი ეძებს იაფ მუშახელს.

სერვისის სფეროს კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი წლების მიხედვით

პროგრამა	2017	2018	2019	2020
ამნე და მსგავსი მანქანების ოპერირება	-	-	-	25
თმის მომსახურება	-	-	27	10
კონდიტერი	98	133	63	24
კულინარიის ხელოვნება	-	-	26	63
მზარეული	824	1018	417	-
საბაჟო საქმე	-	-	-	19
საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL-A)	-	-	-	1

⁵ წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, “საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019”.

დასახელებული მოსაზრებებიდან, შესაძლებელი გახდა ნაწილობრივ გადამონმებულიყო პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა ბოლო 4 წლის მანძილზე. მიღებული მონაცემები არ მოიცავს სერვისის ყველა სფეროს, თუმცა ადასტურებს მოსაზრებას, რომ პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა მართლაც მცირეა. ამ მხრივ ყველაზე უკეთესი მდგომარეობით გამოირჩევა მზარეულის კვალიფიკაცია, სადაც ბოლო 4 წლის მანძილზე მომზადებული იქნა 2259 პირი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებული მოსაზრებების გამოსაკვლევად საჭიროა დამატებითი კვლევის ჩატარება, რადგან დასმულ კითხვებზე პასუხი გამოავლენს პროფესიული განათლების შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს. აღნიშნული კითხვები შესაძლოა განხილული იქნას როგორც მომავალი თემატური ანალიზის საკვლევი კითხვებიც.

6.3. ევროპული ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა გერმანიისა და ესტონეთის მაგალითზე

საქართველოსგან განსხვავებით, ევროპის ქვეყნებში მომსახურების სფეროში გაცილებით მეტი კვალიფიკაცია არის წარმოდგენილი. თემატური ანალიზის მიზნებისთვის განხილული იქნა ორი ქვეყნის: გერმანიისა და ესტონეთის გამოცდილება.

გერმანიაში მომსახურების სფეროში ვხვდებით შემდეგ პროფესიულ კვალიფიკაციებს⁶:

ქვესფერო	კვალიფიკაცია	მე-3 დონე	მე-4 დონე	მე-5 დონე	მე-6 დონე
ვაჭრობა და ღონისძიებების ორგანიზება	საჯარო ადმინისტრირების კლერკი-სპეციალიზირებული სავაჭრო-სამრეწველო სფეროში		x		
	ღონისძიებების მენეჯერი		x		
	ღონისძიებების ტექნოლოგიების სპეციალისტი		x		

⁶ Federal Ministry of Education and Research: https://www.dqr.de/content_en/2316.php

დასაფლავებასთან დაკავშირებული სერვისები	დასაფლავების მომსახურების სპეციალისტი		X		
მომარაგება და განკარგვა	ტექნიკური სისტემების დამგეგმავი-სპეციალიზირებული მიწოდებისა და აღჭურვილობების ტექნოლოგიაში		X		
შინამურნეობა, დასუფთავება და ჰიგიენა	ინდუსტრიული დამლაგებელი, ტექსტილის მწმენდავი		X		
სილამაზის და სხეულის მოვლა	სილამაზის სპეციალისტი		X		
	თმის სტილისტი		X		
	ტრანსპორტის მომსახურების კლერკი-სპეციალიზირებული სერვისებსა და გაყიდვებში		X		
სასტუმროსა და რესტორნების ინდუსტრია	სპეციალისტი მასპინძლობის ინდუსტრიაში	X			
	სისტემური კვებისა და გასტრონომიის სპეციალისტი		X		
	სასტუმროს ბიზნესის სპეციალისტი		X		
	სასტუმროს კლერკი		X		
	სასტუმრო მენეჯერი				X
	სასტუმროს მართვის სპეციალისტი		X		
	მზარეული		X		
	რესტორნის სპეციალისტი		X		
	რესტორნის მენეჯერი		X		
	გასტრონომიული ასისტენტი		X		
ტურიზმი და დასვენების ინდუსტრია	საცურაო აუზების მაშველი		X		
	დასვენებისა და ტურიზმის აგენტი		X		
	საჰაერო ტრანსპორტის სერვისის მერჩანტი		X		
	სპორტის ასისტენტი		X		
	სპორტის სპეციალისტი		X		

სპორტის და ფიტნესის ადმინისტრატორი		x		
ტურიზმის ასისტენტი		x		
ტურიზმის მართვის კლერკი (პირადი დასვენებები და ბიზნეს მოგზაურობები)		x		
ტურიზმის სპეციალისტი				X
ჯანმრთელობის ტურიზმის/პროფილაქტიკის ასისტენტი		x		

ესტონეთში სერვისების სფერო შედგება 5 ქვესფეროსგან. ესენია: სილამაზის მომსახურება, კვება და განთავსება, დასუფთავება და მოვლა, კომერცია, მოგზაურობა. დეტალური ინფორმაცია თითოეული ქვესფეროს, მასში არსებული კალიფიკაციებისა და დონის შესახებ მოცემულია ცხრილში:

ქვესფერო	კვალიფიკაცია	მე-2 დონე	მე-3 დონე	მე-4 დონე	მე-5 დონე
სილამაზის მომსახურება	თმის სტილისტი			x	x
	სილამაზის სპეციალისტი				x
	ფრჩხილის ტექნიკოსი		x	x	
	სპა თერაპევტი			x	
კვება და განთავსება	ბარმენი			x	x
	მასპინძლობის სერვისის სპეციალისტი				x
	მიმტანი		x	x	x
	სამზარეულოს ასისტენტი	x			
	მზარეული		x		
	შეფშარეული			x	
	უფროსი შეფშარეული				x
	ტურიზმის სერვისის მიმწოდებელი			x	
დასუფთავება და მოვლა	მავნებლებთან ბრძოლის სპეციალისტი			x	x

	დამლაგებლის დამხმარე	x			
	დამლაგებელი		x		
	უფროსი დამლაგებელი ზედამხედველი			x	
	დასუფთავების მენეჯერი				x
კომერცია	გაყიდვების წარმომადგენელი				x
	მალაზიის ასისტენტი			x	
	გაყიდვების ორგანიზატორი				x
მოგზაურობა	ტურისტული გიდი				x
	მოგზაურობის კონსულტანტი				x
	ტურიზმის ორგანიზატორი				x

ასევე არის ცალკე სწავლის სფერო: საკუთრების და პიროვნების დაცვა, სადაც ერთ-ერთი ქვესფეროა უსაფრთხოების დაცვა. აქ არის შემდეგი პროგრამები: უსაფრთხოების დაცვა (3 დონე) და უსაფრთხოების ოფიცერი (5 დონე).

6.4. მომსახურების სფერო - ძირითადი მიზნები იდენტიფიცირებული

ამრიგად, საქართველოს, ესტონეთის და გერმანიის პროფესიული კვალიფიკაციების ანალიზმა სერვისების სფეროში ცხადყო, რომ ისეთი კვალიფიკაციები, როგორებიცაა: სასტუმროს სფეროს სხვადასხვა სპეციალისტები, დასუფთავების სპეციალისტები, საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის სპეციალისტები, ბარმენები და მიმტანები, სპორტის და ფიტნესის მიმართულების სპეციალისტები მიეკუთვნება პროფესიულ კვალიფიკაციებს და შემოთდასახელებულ ევროპულ ქვეყნებში ხორციელდება საკმაოდ წარმატებულად. საქართველოს განათლების სისტემა ამ კვალიფიკაციებს არ სთავაზობს შრომის ბაზარს, თუმცა შრომის ბაზარზე მათზე მოთხოვნა დიდია. გერმანიასა და ესტონეთში ძალიან კარგად არის

განვითარებული ტურიზმისა და დასვენების სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციები (გიდი, ტუროპერატორი, მოგზაურობის კონსულტანტი, ტურიზმის მართვის კლერკი (პირადი დასვენებები და ბიზნეს მოგზაურობები), ჯანმრთელობის ტურიზმის სპეციალისტი და ა.შ.). შედარებისთვის, საქართველოში “მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენების” სწავლის სფეროში მხოლოდ ერთი პროფესიული კვალიფიკაციაა წარმოდგენილი “სათავგადასავლო ტურიზმის” სახით. ასევე, საქართველოში სპორტის მიმართულებით საერთოდ არ არის იდენტიფიცირებული პროფესიული კვალიფიკაციები, მაშინ, როდესაც გერმანიაში ეს მიმართულება საკმაოდ კარგად არის განვითარებული.⁷

საქართველოს შრომის ბაზარი აქტიურად ითხოვს გაყიდვების სფეროს წარმომადგენლებს (სპეციალისტებსა და მენეჯერებს), მათზე მოთხოვნა დიდია და შრომის ბაზარზე დეფიციტია, თუმცა ამ მიმართულების პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები ამ ეტაპზე ქვეყანაში არ მზადდებიან. განსხვავებით საქართველოსგან, ესტონეთსა და გერმანიაში გაყიდვების სფეროში კადრების მომზადებას დიდი ყურადღება ექცევა. გერმანიაში, გაყიდვების აგენტები მზადდებიან სფეროების მიხედვითაც კი, ხოლო ესტონეთში ცალკე სფეროდაა გამოყოფილი კომერცია, რომელიც ამზადებს გაყიდვების ასისტენტებსა და მენეჯერებს.

რაც შეეხება პროფესიული კვალიფიკაციების დონეს, გერმანიაში მათი უმრავლესობა განთავსებულია მეოთხე დონეზე, ესტონეთში კი - მეოთხე და მეხუთე დონეზე, საქართველოში მომსახურების სფეროს პროფესიული კვალიფიკაციების თითქმის ნახევარი (არსებული 15 კვალიფიკაციიდან 6) შეესაბამება მესამე დონეს, დანარჩენი კი განაწილებულია მოთხე და მეხუთე დონეზე.

7. არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროს ანალიზი

7.1. არსებული სიტუაციის აღწერა - არქიტექტურისა და მშენებლობის სფერო

განახლებული ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორში, ინჟინერიის, წარმოებისა და მშენებლობის ფართო სფეროში

⁷ წყარო: Qualification's register of Federal Ministry of Education and Research of Germany; https://www.dqr.de/content_en/2316.php;

(კოდი 07) არის მოქცეული არქიტექტურისა და მშენებლობის ვიწრო სფერო (კოდი 073), რომელიც მოიცავს 8 პროფესიულ კვალიფიკაციას:

0731.3.1 - აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება;

0732.3.1 - წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია;

0732.3.2 - წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია;

0732.3.3 - სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა;

0732.3.4 - კედლის დაფარვის სამუშაოები;

0732.3.5 - იატაკისა და ფილის სამუშაოები;

0732.3.6 - საგზაო მშენებლობა;

0732.3.7 – სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია;

ამ ეტაპზე, ვიწრო სფეროს - არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება (0731) აქვს მხოლოდ ერთი პროფესიული კვალიფიკაცია - აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება, მაშინ როცა ზემოთ ჩამოთვლილი სხვა 7 კვალიფიკაცია არის მშენებლობისა და სამოქალაქო ინჟინერიის დეტალური სფეროს ქვეშ (0732).


მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი პროფესიული კვალიფიკაცია არაა არქიტექტურისა და მშენებლობის არაკლასიფიცირებულ დეტალურ სფეროსა (0739) და ინტერდისციპლინური სფეროში, რომელიც მოიცავს ინჟინერიას, წარმოებას და მშენებლობას (0788).

7.2. შრომის ბაზრის ანალიზი - არქიტექტურისა და მშენებლობის სფერო
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წელს ჩატარებული ანალიზის მიხედვით, მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა არის 81,373 (2019 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით), რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 10.3%-ით მეტია. აღნიშნულ სფეროში დასაქმებული ადამიანების 94.4% ჩართულია საქმიანობაში სრულ განაკვეთზე, ხოლო 5.6% ნახევარ განაკვეთზე.

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი დასაქმებულია თბილისში - 56.3%, მეორე ადგილზე არის აჭარა 15.7%-ით და მესამე ადგილზეა იმერეთი 6.5%-ით. დანარჩენი რაოდენობა ნაწილდება სხვა რეგიონებზე, სადაც საშუალო მონაცემი არის 2.7%.

ანალიზი ასევე მოიცავს მონაცემების სანარმოების ზომის მიხედვით და ნაწილდება შემდეგნაირად:

დიაგრამა #3



ანალიზი მოიცავს ISCO-ს მთავარი პროფესიული ჯგუფების გადანაწილებას, სადაც ნაჩვენებია ვის უკავია უმაღლესი წილი - ხელოსნები და მსგავსი დასაქმებულები - 47,7%, სპეციალისტები 13,6% და დასაქმებულები დამწყების კვალიფიკაციით 12.1%.

განათლების საფეხურების მიხედვით, მშენებლობაზე დასაქმებულების უმეტესობას აქვს ზოგადი განათლება (43%), პროფესიული განათლება აქვს 34%-ს, ხოლო უმაღლესი განათლება 23%-ს.

პროფესიულ საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია აქვს სანარმოების მხოლოდ 3%-ს.

ვაკანტური ადგილების ანალიზზე დაყრდნობით სამი ყველაზე მაღალი წილი მოდის სავაჭრო სფეროზე - 34,7% (20,423 ვაკანსია), სასტუმრო და რესტორნები - 10,9% (6,392 ვაკანსია) და მშენებლობის სფერო - 8.5% (4,979 ვაკანსია).

2019 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს მიერ ჩატარებული „სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევის“ საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნადია შემდეგი პროფესიები: ბეტონჩამომსხმელი,

ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე სფეროს მუშები, ზეინკალ-სანტეჟნიკოსები, მღებავები, მებათქაშეები, იტაკაისა და ფილის დამგებები, ჰაერის კონდიციონერების სპეციალისტები, ელექტრიკოსები, შემდუღებლები, სახურავის სპეციალისტები, ქვისმთლებები/ქვისმჭრელები, ხუროები და დურგლები და საიზოლაციო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები.

ზემოთ მოცემული მონაცემების მიხედვით, უნდა აღინიშნოს ბიზნესის სექტორსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კოლაბორაციის მნიშვნელობა. არქიტექტურისა და მშენებლობის ინდუსტრია საგრძნობლად იზრდება, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის სექტორი აქტიურად იყოს ჩართული მომავალი დამსაქმებლების „ფორმირებაში“.

7.3. ევროპული ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა გერმანიისა და ესტონეთის მაგალითზე

გერმანიის საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესწავლისას იკვეთება პირველ რიგში ის, რომ აღნიშნული მიმართულებით (არქიტექტურა და მშენებლობა) გაცილებით მეტი კვალიფიკაციაა განთავსებული სხვადასხვა დონეებზე.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აღნიშნულ სფეროში კვალიფიკაციების გადანაწილება დონეების მიხედვით: კვალიფიკაცია	მე-3 დონე	მე-4 დონე
შენობა-ნაგებობის მუშა - ბეტონისა და გასამაგრებელი სამუშაოების სპეციალისტი	X	
შენობა-ნაგებობის მუშა - გათბობისა და საკვამურის სამუშაოების სპეციალისტი	X	
შენობა-ნაგებობის მუშა - ქვის სამუშაოების სპეციალისტი	X	
სამოქალაქო ინჟინერიის მუშა - სადინარების მშენებლობების სპეციალისტი	X	
სამოქალაქო ინჟინერიის მუშა - მილსადენების დამონტაჟების სპეციალისტი	X	
სამოქალაქო ინჟინერიის მუშა - ლიანდაგების მშენებლობის სპეციალისტი	X	
სამოქალაქო ინჟინერიის მუშა - გზების მშენებლობის სპეციალისტი	X	

სამოქალაქო ინჟინერიის მუშა - ჭებისა და სპეციალური სამოქალაქო საინჟინრო სამუშაოების სპეციალისტი	X	
სამშენებლო სამუშაოების დამასრულებელი მუშა - სადურგლო საქმის სპეციალისტი	X	
სპეციალისტი, სამშენებლო სამუშაოების დამასრულებელი მუშა - კედლის დაფარვის სამუშაოების სპეციალისტი	X	
სამშენებლო სამუშაოების დამასრულებელი მუშა - გათბობის, სიცივისა და ხმის იზოლაციის სპეციალისტი	X	
სამშენებლო სამუშაოების დამასრულებელი მუშა - ფილების (screed) დაგების სპეციალისტი	X	
სამშენებლო სამუშაოების დამასრულებელი მუშა - კრამიტი/კაფელისა და მოზაიკების დაგების სპეციალისტი	X	
არქიტექტურული ნახაზების სპეციალისტი		X
ასფალტის მუშა - გზების მშენებელი		X
სამშენებლო მექანიკოსი ნგრევისთვისა და ბეტონის ჭრისთვის		X
დურგალი		X
ბეტონის ბლოკებისა და ტერაცოს მკეთებელი		X
სამშენებლო მასალების მტესტავი - ასფალტის ტექნოლოგი		X
სამშენებლო მასალების მტესტავი - გეოტექნიკოსი		X
სამშენებლო მასალების მტესტავი - კირდუღაბისა და ბეტონის ტექნოლოგი		X
სამშენებლო მექანიკოსი		X
სამშენებლო საწარმოს ოპერატორი		X
სადინარების მშენებელი		X
მშრალი სამშენებლო სამუშაოების მშენებელი		X
ფასადების მემონტაჟე		X
მებათქაშე		X
სახურავის ოსტატი		X
მილების, საკანალიზაციო არხებისა და ინდუსტრიული სერვისების ტექნიკოსი		X
კრამიტი/კაფელისა და მოზაიკების დაგების სპეციალისტი		X
წყლის მომარაგების ინჟინერ-ტექნიკოსი		X
ჭების მშენებელი		X

არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროში კვალიფიკაციები მე-3 და მე-4 დონეზეა განაწილებული. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ან მსგავსი სპეციალიზაციის კვალიფიკაციები გვხვდება, როგორც მე-3 ისე მე-4 დონეზე. სხვაობა არის სასწავლო კურსის ხანგრძლივობაში (მე-3 დონე 2 წლიანი, მე-4 – 3 წელი და 3 წელინაღნახევარი) და სასწავლო შედეგებში.

ესტონეთის საკვალიფიკაციო ჩარჩოში არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროში გაერთიანებულია შემდეგი კვალიფიკაციები:

კვალიფიკაცია	მე-3 დონე	მე-4 დონე	მე-5 დონე	მე-6 დონე	მე-7 დონე	მე-8 დონე
საკვამურის მწმენდავი	X	X	X			
თერმოსტატის მშენებელი შეგირდი	X					
თერმოსტატის მშენებელი		X				
თერმოსტატის მშენებელი ოსტატი			X			
მებათქაშე		X				
მღებავი		X				
მეკრამიტე/მეფილე		X				
იატაკის საფარის დამგები		X				
დიპლომირებული ავტომატიზაციის ინჟინერი					X	
შენობა-ნაგებობების დიპლომირებული სამოქალაქო ინჟინერი					X	
დიპლომირებული ინჟინერი ჰიდროტექნიკურ ინჟინერიაში					X	
წყალმომარაგებისა და კანალიზაციის დიპლომირებული ინჟინერი					X	
გათბობის, ვინტილაციისა და ჰაერის კონდიციონირების ინჟინერი				X		
გაგრილებისა და გათბობის სისტემების ტექნიკოსი		X				
წყლის სისტემების ტექნიკოსი		X				

სავინტილაციო მილის მემონტაჟე		X				
კალატობი		X				
ფოლადის სანარმოს მუშაკი		X				
სახურავის ოსტატი	X	X				
დურგალი		X				
მეთუნე		X				
სამშენებლო ადგილის მენეჯერი				X		
ბეტონის ხელოსანი		X				
ხის სახლის მშენებელი	X	X	X			
პრივილეგირებული სამოქალაქო ინჟინერი საგზაო ინჟინერიაში						X
დიპლომირებული სამოქალაქო ინჟინერი საგზაო ინჟინერიაში					X	
სამოქალაქო ინჟინერი საგზაო ინჟინერიაში				X		
გზების ხელოსანი		X				

7.4. არქიტექტუძირითადი მიგნებები

პირველ რიგში, რაც ყველაზე თვალშისაცემია, ევროპული ქვეყნების კვალიფიკაციები კონკრეტული მიმართულებებით, ამ შემთხვევაში არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროში, გაცილებით უფრო დეტალიზებული და კონკრეტულია. ამაზე მეტყველებს მხოლოდ ის ფაქტიც, რომ ჩვენ შემთხვევაში არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროში მხოლოდ 8 კვალიფიკაციაა მოცემული, მაშინ როდესაც გერმანული და ესტონური საკვალიფიკაციო ჩარჩო აღნიშნულ სფეროში დაახლოებით 40მდე კვალიფიკაციას აერთიანებს.

ზემოთ ხსენებულ ევროპულ ქვეყნებში ერთი და იგივე კვალიფიკაცია შეიძლება რამდენიმე დონეზე შეგვხვდეს, რაც მიუთითებს კონკრეტული სპეციალიზაციის სიღრმისეულ ჩაშლაზე. ამას გარდა, არქიტექტურისა და მშენებლობის მიმართულებით, სწავლის სფეროების კლასიფიკატორში საერთოდ არ არის ისეთი პროფესიული კვალიფიკაციები, როგორცაა - დურგალი, , საიზოლაციო სამუშაოების სპეციალისტი და, სამშენებლო ადგილის მენეჯერი.

კვალიფიკაციების დონეების ჭრილში ანალიზისას ჩანს, რომ გერმანიასა და ესტონეთში კვალიფიკაციების უმრავლესობა განთავსებულია მეოთხე დონეზე, მაშინ როცა საქართველოში ძირითადი კვალიფიკაციების არის მესამე დონეზე, ხოლო მეხუთე დონეზე არცერთი კვალიფიკაცია არ ფიქსირდება.

8. სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის სფეროს ანალიზი

8.1. არსებული სიტუაციის ანალიზი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის (კოდი - 08) ფართო სფეროში წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის (კოდი - 081), მეტყევეობის (კოდი - 082), მეთევზეობის (კოდი - 083), ვეტერინარიის (კოდი - 084) და ინტერდისციპლინური (კოდი - 088) ვიწრო სფეროები. თავის მხრივ კი ვიწრო სფეროები ჩაშლილია დეტალური სფეროების სახით. კერძოდ, სოფლის მეურნეობა (კოდი - 081) წარმოდგენილია ორ დეტალურ სფეროს სახით - მემცენარეობა და მეცხოველეობა (კოდი - 0811) და მებალეობა (კოდი - 0812), მეტყევეობა (კოდი - 082) წარმოდგენილია ერთი დეტალური სფეროს სახით - მეტყევეობა (კოდი - 0821), მეთევზეობა (კოდი - 083) წარმოდგენილია ერთი დეტალური სფეროს სახით - მეთევზეობა (კოდი - 0831), ვეტერინარია (კოდი - 084) - ერთი დეტალური სფერო - ვეტერინარია (კოდი - 0841) და ინტერდისციპლინური (კოდი - 088), ასევე ერთი დეტალური სფერო - ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარია (კოდი - 0888).

დღეის მდგომარეობით მემცენარეობა და მეცხოველეობის (კოდი - 0811) დეტალური სფეროს ქვეშ წარმოდგენილია შემდეგი ხუთი პროფესიული კვალიფიკაცია:

0811.3.2 ბიომეურნეობა Organic Farming

0811.3.3 სოფლის მეურნეობა Agriculture

0811.3.4 მეფუტკრეობა Beekeeping

0811.3.5 მევენახეობა Viticulture

0811.3.6 მებოსტნეობა Horticulture

0811.3.7 ცხენის მოვლა Horse-Breeding

ხოლო მებადეობის (კოდი - 0812) დეტალური სფეროს ქვეშ წარმოდგენილია 0812.3.1 მებადეობის Horticulture პროფესიული კვალიფიკაცია. მეტყვევობის (კოდი - 0821) დეტალურ სფეროში წარმოდგენილია ერთი პროფესიული კვალიფიკაცია - 0821.3.1 სატყეო საქმე Forestry. მეთევზეობის (კოდი - 0831) დეტალური სფეროს ქვეშ ასევე წარმოდგენილია ერთი პროფესიული კვალიფიკაცია - 0831.3.1 მეთევზეობა Fisheries. ასევეა ვეტერინარიის (კოდი - 0841) დეტალური სფეროს მიმართულებითაც - 0841.3.1 ვეტერინარია Veterinary და ინტერდისციპლინური დეტალური სფეროც წარმოდგენილია ერთი პროფესიული კვალიფიკაციით - 0811.3.1 მევენახეობა და მეღვინეობა Viticulture and Winemaking.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სწავლის სფეროების კლასიფიკატორში სოფლის მეურნეობის, მეტყვევობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის (კოდი - 08) ფართო სფეროს ქვეშ მოცემულია ხუთი ვიწრო სფერო, ექვსი დეტალური სფერო და თერთმეტი პროფესიული კვალიფიკაცია.


შესაბამისად, სოფლის მეურნეობის, მეტყვევობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის ფართო სფეროს მიმართულებით ამ ეტაპზე ყველა დეტალურ სფეროში წარმოდგენილია ერთი პროფესიული კვალიფიკაცია მაინც.

8.2. შრომის ბაზრის ანალიზი

2019 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელდა „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი“. საქართველოში თვითდასაქმებულთა რაოდენობა კვლავ მაღალია და აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თვითდასაქმებულთა დიდი წილი სოფლის მეურნეობის სექტორზე მოდის, რომელიც დაბალი პროდუქტიულობით გამოირჩევა. აღნიშნული ანალიზის თანახმად, არაერთგვაროვანია დასაქმების სტრუქტურა ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, სადაც წამყვანი როლი სოფლის მეურნეობას უკავია და მისი წილი 38.9%-ს (659 ათასი ადამიანი) შეადგენს. სოფლის მეურნეობა თავის მხრივ გამოირჩევა თვითდასაქმებულების მაღალი წილით, რაც უკავშირდება საკუთარ შინამეურნეობაში შრომას. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს გასულ წელთან შედარებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 10.4%-ით (76.9 ათასი ადამიანი) შემცირდა, ამას არ მოუხდენია ეკონომიკური სექტორების მიხედვით დასაქმების სტრუქტურაში ძირეული ცვლილება. პროფესიული

ჯგუფებისა და ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით დასაქმების სტრუქტურა თანხვედრაშია ერთმანეთთან. ეკონომიკურ საქმიანობათა მიხედვით დასაქმების მსგავსად, პროფესიული ჯგუფების მიხედვით დასაქმებულების კუთხითაც ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილები სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები (37.6%).

დიაგრამა #4. თანამშრომელთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (ათასი ადამიანი)⁸



2019 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელებული „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზის“ კვლევის მიხედვით სოფლის მეურნეობის კვალიფიციურ მუშებზე ყველაზე ნაკლები ვაკანსია გამოცხადდა, რამაც 0,2% შეადგინა. ვაკანსიების სიმცირე აიხსნება სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმების მაღალი დონით, რაც ეფუძნება საოჯახო მეურნეობაში შრომას. საქსტატის მიხედვით 2018 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილმა 39% შეადგინა, ხოლო იმავე პერიოდში ბიზნეს სექტორში სოფლის მეურნეობის მხრივ დასაქმებულთა ხვედრითმა წილმა 1. 6% შეადგინა.

სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად დარგის პროდუქტიულობა ძალიან დაბალია და შედეგად მცირეა დარგის წილი მთლიან შიდა პროდუქტში. სოფლის მეურნეობისათვის უმთავრეს საკითხს

⁸ წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019“.

წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, რამაც შესაძლოა ერთი მხრივ გამოიწვიოს კადრების გადადინება სხვა სექტორებში, ხოლო მეორე მხრივ განაპირობოს მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2020 წელს განახორციელა უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა.

სამუშაო ძალაზე მოთხოვნის კომპონენტის განსაზღვრის მიზნით, კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა საწარმოებში არსებული ვაკანსიების რაოდენობისა და მახასიათებლების შესწავლა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ვაკანსიები საწარმოთა ზომის, რეგიონების, ეკონომიკური საქმიანობების და პროფესიული ჯგუფების მიხედვით.

2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, გასული ერთი წლის განმავლობაში, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, არსებული ვაკანსიების უმრავლესობა საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე მოდის - 34.7% (20,423 ვაკანსია), შემდეგ მოდის სასტუმროები და რესტორნები - 10.9% (6,392 ვაკანსია), მშენებლობა - 8.5% (4,979 ვაკანსია). ყველაზე ცოტა ვაკანსია სოფლის მეურნეობისა (515 ვაკანსია) და სამთომოპოვებით მრეწველობის (347 ვაკანსია) სექტორებში დაფიქსირდა.

ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, არსებული ვაკანსიების უმრავლესობა მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დანესებულებების პერსონალზე მოდის (13,918 ვაკანსია; 23.9%), შემდეგ მოდის სპეციალისტების ჯგუფი (9,265 ვაკანსია; 15.7%), დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკები (7,709 ვაკანსია; 13.1%), მენეჯერები (7,353 ვაკანსია; 12.5%), ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები (5,513 ვაკანსია; 9.4%), სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები (5,221 ვაკანსია; 8.9%), ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები (4,962 ვაკანსია; 8.4%), ოფისის პერსონალი (4,876 ვაკანსია; 8.3%), სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები (94 ვაკანსია; 0.2%).

კვლევის თანახმად, თითოეულ ძირითად პროფესიულ ჯგუფში, არსებული ვაკანსიების მიხედვით შემდეგი ელემენტარული ჯგუფები გამოირჩევა: მენეჯერების ძირითად პროფესიულ ჯგუფში - გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები (2,152 ვაკანსია); სპეციალისტების ძირითად ჯგუფში - ბუღალტრები (1,368 ვაკანსია); ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტების ჯგუფში - პროცესის კონტროლის ტექნიკოსები (687 ვაკანსია); ოფისის პერსონალის ჯგუფში - ბანკის მოლარეები (888 ვაკანსია); მომსახურების და გაყიდვების სფეროს პერსონალის ჯგუფში - მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები (3,614 ვაკანსია); სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშაკების ჯგუფში - მემინდვრეები და მებოსტნეები (48 ვაკანსია); ხელოსნებისა და მონათესავე

პროფესიების მუშაკების ჯგუფში - მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები (1,130 ვაკანსია), სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებისა და ამწყობების ჯგუფში - სატვირთო ავტომობილის მძღოლები (1,731 ვაკანსია); დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკების ჯგუფში კი - დამლაგებლები (3,773 ვაკანსია).

კვლევის თანახმად, 2019 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით, გასული ერთი წლის განმავლობაში, სანარმოებს (7,276 სანარმოს) არსებული ვაკანსიების 93.6% ჰქონდათ (55,163 ვაკანსია) გამოცხადებული.

გამოცხადებული 55,163 ვაკანსია შემდეგნაირად განაწილდა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით: მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალის ძირითადი პროფესიული ჯგუფი - 13,744 ვაკანსია (98.7%); სპეციალისტების ძირითადი პროფესიული ჯგუფი - 8,802 ვაკანსია (95%); დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელის ძირითადი პროფესიული ჯგუფი - 6,701 ვაკანსია (86.9%); მენეჯერების ძირითადი პროფესიული ჯგუფი - 6,363 ვაკანსია (86.5%); ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკების ძირითადი პროფესიული ჯგუფი - 5,434 ვაკანსია (98.6%); ტექნიკოსების ძირითადი პროფესიული ჯგუფი - 4,707 ვაკანსია (94.9%); ოფისის პერსონალის ძირითადი პროფესიული ჯგუფი - 4,668 ვაკანსია (95.7%); სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობების ძირითადი პროფესიული ჯგუფი - 4,650 ვაკანსია (89.1%); სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკების ძირითადი პროფესიული ჯგუფი - 94 ვაკანსია (100%).

გამოქვეყნებულ ვაკანსიებზე დასაქმების სავარაუდო ხანგრძლივობად 6 თვემდე პერიოდი სანარმოების 7%-მა დაასახელა, 6 თვიდან 1 წლამდე პერიოდი - 33%-მა, ხოლო 1 წელზე მეტი - 60%-მა.

2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არსებული ვაკანსიების 32% მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალის ძირითად პროფესიულ ჯგუფზე მოდის და შეადგენს 1,442 ერთეულს. შემდეგ მოდის სპეციალისტების ჯგუფი - 600 ვაკანსია (13.3%), სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები - 567 ვაკანსია (12.6%), ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები - 505 ვაკანსია (11.2%). ოფისის პერსონალი - 413 ვაკანსია (9.2%), მენეჯერები - 346 ვაკანსია (7.7%), ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 318 ვაკანსია (7%), დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი - 313 ვაკანსია (7%), სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშახელი - 6 ვაკანსია (0.1%).

ინტერესს იწვევს სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის სფეროს კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი, რომელიც 2017-2020 წლებისათვის შემდეგნაირია:

სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის სფეროს კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი წლების მიხედვით

პროგრამა	2017	2018	2019	2020
ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო - სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა)	175	215	16	13
თევზის გადამუშავება	-	-	-	8
მებაღე	17	44	38	-
მებოსტნე	15	9	-	-
მევენახეობა-მელვინეობა	22	23	22	17
მეთევზეობა	-	-	-	6
მელიორატორი	23	15	-	-
მემცენარე	13	9	6	-
მეტყევე (ტყის მჭრელი, ტაქსატორი)	29	97	-	-
მეფუტკრე	25	40	104	36
მელვინე	23	35	23	-
მეცხოველეობა (მესაქონლეობა)	-	6	-	7
მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები)	-	-	19	12
მცენარეების დამამზადებელი(სამკურნალო, არომატული)	22	24	15	4
მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი	24	25	-	-

რძის გადამმუშავებელი	18	28	6	-
სატყეო საქმე	-	61	108	105
ფერმერი	32	23	-	-
ფერმერობა მეთევზეობაში	-	-	-	6
ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი	11	19	16	6

როგორც მოცემული ცხრილიდან ვლინდება 2017-2020 წლების განმავლობაში ყველაზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავს “ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის” პროგრამას - 419, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019-2020 წლებში კურსდამთავრებულთა რაოდენობა მკვეთრად იკლებს წინა წლებთან შედარებით. ასევე, კურსდამთავრებულთა მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა “სატყეო საქმის” პროგრამა - 274, რომელიც წლების მიხედვით დინამიკაში მზარდ მონაცემებს გვიჩვენებს. ასევე, კურსდამთავრებულთა მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა “მეფუტკრის” პროგრამა - 205, თუმცა წლების მიხედვით მოცემული მაჩვენებელი არათანაბრად მერყეობს. სხვა პროგრამებისათვის კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი 2017-2020 წლებისთვის არათანაბრად მერყეობს, რაც შესაძლებელია გახდეს სამომავლოდ კვლევის საგანი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს დაზუსტდეს აღნიშნულის მიზეზი.

8.3. პროფესიული კვალიფიკაციები და პროფესიული

საგანმანათლებლო სტანდარტები

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, სწავლის სფეროების კლასიფიკატორში სოფლის მეურნეობის, მეტყვეობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის (კოდი - 08) ფართო სფეროს ქვეშ მოცემულია ხუთი ვიწრო სფერო, ექვსი დეტალური სფერო და თერთმეტი პროფესიული კვალიფიკაცია.

შესაბამისად, სოფლის მეურნეობის, მეტყვეობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის ფართო სფეროს მიმართულებით ამ ეტაპზე ყველა დეტალურ სფეროში წარმოდგენილია ერთი პროფესიული კვალიფიკაცია მაინც.

აღნიშნულ პროფესიულ კვალიფიკაციებს ფარავს შვიდი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი.

“სოფლის მეურნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი აერთიანებს ხუთ პროფესიულ კვალიფიკაციას:

1. საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში / Secondary Vocational Qualification in Agriculture;
2. საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში / Basic Vocational Qualification in Beekeeping;
3. საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობაში / Basic Vocational Qualification in Viticulture;
4. საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში / Basic Vocational Qualification in Horticulture;
5. საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ცხენის მოვლაში / Basic Vocational Qualification in Horse-Breeding.

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში მოიცავს შემდეგ მიმართულებებს - ფერმერობა, მეფრინველეობა, მემცენარეობა (არჩევითი ბლოკი - მებაღეობა, მეჩაიეობა, სამკურნალო მცენარეების დამზადება) და მეხილეობა (არჩევითი ბლოკი - მებაღეობა, მეჩაიეობა, სამკურნალო მცენარეების დამზადება). ხოლო დანარჩენი კვალიფიკაციები შესაბამისად მოიცავენ მეფუტკრეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის და ცხენის მოვლის მიმართულებებს.

„ბიომეურნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი მოიცავს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბიომეურნეობაში / Higher Vocational Qualification in Organic Farming და აერთიანებს ორ კონცენტრაციას - ბიომემცენარეობას და ბიომეცხოველეობას.

„მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი მოიცავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში / Secondary Vocational Qualification in Horticulture და აერთიანებს ორ კონცენტრაციას - მებაღეობისა და ბაღის დიზაინის.

„სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი მოიცავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში / Secondary Vocational Qualification in Forestry და არ შეიცავს კონცენტრაციებს.

„მეთევზეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი მოიცავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში / Secondary Vocational Qualification in Fisheries და სამ კონცენტრაციას - ფერმერობა მეთევზეობაში, თევზის გადამამუშავებაში და ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში.

„ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი მოიცავს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში/ Higher Vocational Qualification in Veterinary და არ შეიცავს კონცენტრაციებს.

„მევენახეობა-მელვინეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი მოიცავს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მელვინეობაში/Higher Vocational Qualification in Viticulture and Winemaking და არ შეიცავს კონცენტრაციებს.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის, მეტყვეობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის ფართო სფეროს მიმართულებით ამ ეტაპზე ყველა დეტალურ სფეროში წარმოდგენილია ერთი პროფესიული კვალიფიკაცია მაინც, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის კვალიფიკაცია უფრო გასაგები უნდა იყოს პროფესიული სტუდენტისთვის და დამსაქმებლისთვის, ვინაიდან ამ ეტაპზე აღნიშნული კვალიფიკაცია აერთიანებს ფერმერობა, მეფრინველეობა, მემცენარეობა (არჩევითი ბლოკი - მებარეშუმეობა, მეჩაიეობა, სამკურნალო მცენარეების დამზადება) და მეხილეობა (არჩევითი ბლოკი - მებარეშუმეობა, მეჩაიეობა, სამკურნალო მცენარეების დამზადება). ხოლო დანარჩენი კვალიფიკაციები შესაბამისად მოიცავენ მეფუტკრეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის და ცხენის მოვლის მიმართულებებს.

8.4. ევროპული ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა გერმანიისა და ესტონეთის მაგალითზე

საქართველოსგან განსხვავებით, ევროპის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაცილებით მეტი კვალიფიკაცია არის წარმოდგენილი. თემატური ანალიზის მიზნებისთვის განხილული იქნა ორი ქვეყნის: გერმანიისა და ესტონეთის გამოცდილება.

გერმანიაში სოფლის მეურნეობის მიმართულებით მოცემულია შემდეგი სწავლის სფეროები: ფერმერი; მცენარეთა ტექნოლოგი; ცხოველთა ფერმერი; მეცხენეობა, მეტყვეობა, თევზის მომშენებელი; მელვინე; მებაღე; მონადირე.

ქვესფერო	კვალიფიკაცია	მე-2 დონე	მე-3 დონე	მე-4 დონე	მე-5 დონე
ფერმერი და ცხოველთა ფერმერი	ცხოველთა მზრუნველი (სპეციალიზირებული მესაქონლეობაში)			x	
	ცხოველთა მზრუნველი (სპეციალიზირებული ღორის მეურნეობაში)			x	

	ცხოველთა მზრუნველი (სპეციალიზირებული მეფრინველეობაში)			X	
	ცხოველთა მზრუნველი (სპეციალიზირებული მეცხვარეობაში)			X	
	ცხოველთა მზრუნველი (სპეციალიზირებულია მეფუტკრეობაში)			X	
	ცხოველთა მზრუნველი (სპეციალიზირებულია მესაქონლეობის მეურნეობაში)			X	
	ცხოველების მომვლელი (სპეციალობით ცხოველთა სახლებში და პანსიონატის ობიექტებში)			X	
	ცხოველთა მომვლელი (სპეციალიზირებულია კვლევით და კლინიკურ სამუშაოებში)			X	
	ცხოველთა მომვლელი (სპეციალობით ზოოპარკში მუშაობაში)			X	
მცენატრეთა ტექნოლოგია	მცენარეთა ტექნოლოგი			X	
მეცხენეობა	ცხენისა და თავლის მენეჯმენტსა და მომსახურებაში			X	
	ცხენის მოშენებაში და დოღის ორგანიზებაში.			X	
მეტყველობა	ტყის მენეჯერი			X	
მეთევზეობა	კომერციული მეთევზე, სპეციალობით აკვაკულტურასა და შიდა თევზაობაში;			X	
	კომერციული მეთევზე სპეციალობით საზღვაო და მცირე ზომის ღრმა თევზაობაში			X	
	მეთევზეობის ტექნიკოსი			X	
მელვინეობა	მევენახის და ღვინის ტექნოლოგი			X	
მებაღეობა	ტყის მებაღეობა			X	

	სასაფლაოების მებაღეობა			X	
	ხილის მოყვანა			X	
	მებაღეობა და ლანდშაფტური მებაღეობა			X	
	დეკორატიული მცენარეული კულტურა			X	
	ბალახოვანი მცენარეების კულტურა			X	
	ბოსტნეულის მოყვანა			X	
ნადირობა	ნადირობის ზედამხედველი			X	

ესტონეთში კვების მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ერთ სფეროდ არის წარმოდგენილი. სოფლის მეურნეობის მიმართულებით წარმოდგენილია შემდეგი პროფესიული კვალიფიკაციების სტანდარტები:

ქვესფერო	კვალიფიკაცია	მე-2 დონე	მე-3 დონე	მე-4 დონე	მე-5 დონე
სოფლის მეურნეობა	დამხმარე მებაღე	X			
	მებაღე			X	
	ფლორისტი			X	
	მეჯინიბე			X	
	თევზის ფერმერი			X	
	სოფლის მრჩეველი				X
	ვეტერინარული ასისტენტი			X	
	ფერმის თანამშრომელი/მუშა		X	X	
	ფერმერი				X
	ცხოველების მასაჟისტი				X
	ლანდშაფტის მებაღე	X	X	X	X
	უფროსი მებაღე				X
	ოსტატი ფლორისტი				X
	მეფუტკრე			X	X
	მებაღეების თანამშენი		X		
სანაპირო მეთევზე			X		

9. თემატური ანალიზის ძირითადი მიგნებები

თემატური ანალიზის ფარგლებში საკვლევო კითხვების გარშემო შეგროვებული ინფორმაციის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში მომსახურებების სფეროს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციები საკმაოდ სუსტად არის განვითარებული და ის ნაკლებად შეესაბამება შრომის ბაზრის სტრუქტურას. სპეციალისტები, რომლებსაც ითხოვს შრომის ბაზარი, არ მზადდება პროფესიულ განათლებაში, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროების ნაწილი საერთოდ ცარიელია, მაშინ, როდესაც ევროპული ქვეყნების პრაქტიკა ამ მიმართულებით საწინააღმდეგო სურათს აჩვენებს. რაოდენობრივ ჭრილში თუ გავაკეთებთ მონაცემების ანალიზს, დავინახავთ, რომ საქართველოში მომსახურებების სფეროში არის 15 კვალიფიკაცია, გერმანიაში -35-ზე მეტი, ხოლო ესტონეთში - 30-ზე მეტი, არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროში არის 8 კვალიფიკაცია, გერმანიაში - 32-ზე მეტი, ხოლო ესტონეთში - 28-ზე მეტი. ხოლო სოფლის მეურნეობის, მეტყვეობის, მეთევზეობისა და ვეტერინარიის მიმართულებით საქართველოში არის 11 კვალიფიკაცია, მაშინ როცა გერმანიაში არის 25-ზე მეტი, ხოლო ესტონეთში - 16-ზე მეტი.

გარკვეული აცდენებია კვალიფიკაციების დონეებშიც. ევროპული გამოცდილების მიხედვით, პროფესიულ კვალიფიკაციათა უმრავლესობა განთავსებულია მეოთხე და მეხუთე დონეზე, ხოლო საქართველოში - მომსახურების სფეროს პროფესიული კვალიფიკაციების თითქმის ნახევარი (არსებული 14 კვალიფიკაციიდან 6) მესამე დონეს შეესაბამება, ასეთივე მდგომარეობაა დანარჩენ ორ სფეროშიც.

რაც შეეხება იმ ფაქტს, **პასუხობს თუ არა არსებული კვალიფიკაციები შინაარსობრივად შრომის ბაზრის მოთხოვნებს**, ჩატარებული ანალიზის ფარგლებში რთული იყო ცალსახა პასუხის განსაზღვრა, რადგან მოძიებული კვლევების ფარგლებში ამ მიმართულებით ძალიან მწირი ინფორმაცია იყო წარმოდგენილი. რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც გამოკვეთა აღნიშნულმა ანალიზმა, არის შემდეგი: მომსახურების სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე დასაქმებულების რიცხვი არის ძალიან მცირე (14.2%) და ის ჩამოუვარდება სრული ზოგადი განათლების მქონე დასაქმებულთა რიცხვს; დამსაქმებელთა 32% უჭირს განსაზღვროს, სჭირდება თუ არა მათ კადრებს პროფესიული გადამზადება; ტურიზმის მიმართულებით დადგინდა შემდეგი კომპეტენციების ნაკლებობა: კომუნიკაცია უცხო ენაზე, მომსახურების უნარები, პრობლემის მოგვარების უნარები კომუნიკაციის უნარები და

პროფესიული ცოდნა.⁹ გამომდინარე იქიდან, რომ დამსაქმებელთა დიდ ნაწილს არ ჰყავს პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კადრები დასაქმებული, უჭირთ ისაუბრონ არსებული კვალიფიკაციების ხარისხზე.

დაახლოებით იდენტური სურათია არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროშიც. მშენებლობის მიმართულებით, სხვადასხვა პროფესიების ჭრილში კვლევამ¹⁰ გამოკვეთა შემდეგი კომპეტენციების ნაკლებობა: პრობლემების მოგვარება, ნახაზის/დიზაინის გაგება, თვითდისციპლინა, შესრულებული ნამუშევრის ხარისხის კონტროლი, უსაფრთხოების ზომების ცოდნა/გამოყენება, ალკურვილობისა და ხელსაწყოების ეფექტიანად გამოყენება და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ შრომის ბაზრის სტრუქტურის ჭრილში იდენტიფიცირდა კვალიფიკაციები, რომლებიც მოთხოვნადია შრომის ბაზარზე, მაგრამ არ მზადდება სისტემაში: ესენია: დურგალი, საიზოლაციო სამუშაოების შემსრულებელი, სამშენებლო ადგილის მენეჯერი.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის, მეტყვევობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის სფეროს, როგორც გერმანული და ესტონური გამოცდილება გვიჩვენებს საკმაოდ მრავალფეროვანი და დეტალურია პროფესიული კვალიფიკაციები. ასევე, ერთი და იგივე კვალიფიკაცია ესტონეთის შემთხვევაში შესაძლებელია შეგვხვდეს სხვადასხვა დონეზე (რაც გამორიცხულია ქართული კვალიფიკაციების შემთხვევაში). საქართველოს მაგალითზე გვხვდება ისეთი კვალიფიკაციაც, რომელიც არც შრომის ბაზარზეა მოთხოვნადი და შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებებიც არ ახორციელებენ მას (მაგ. 0811.3.7 ცხენის მოვლა Horse-Breeding). ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კვალიფიკაცია - სოფლის მეურნეობაში უფრო ნათლად და დამსაქმებლისთვის გასაგებად არის ჩამოსაყალიბებელი, ვინაიდან კვალიფიკაციის ქვეშ მოცემულია 4 სხვადასხვა კონცენტრაცია და 2 არჩევითი კონცენტრაცია. როგორც გერმანიისა და ესტონეთის მაგალითზე ვხედავთ აღნიშნული ქვეყნები არ უფროსიან კვალიფიკაციების დაკონკრეტებას და ვინრო მიმართულებებად წარმოდგენას, რაც გასაგებს ხდის კვალიფიკაციას როგორც პროფესიული სტუდენტისათვის, ისე დამსაქმებლისთვის.

10. დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული თემატური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი რეკომენდაციები სისტემის დონეზე:

⁹ წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019“.

¹⁰ წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“.

- მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების მიერ პერმანენტულად ხორციელდებოდეს შრომის ბაზრის კვლევები, რადგან კვლევის შედეგები წარმოადგენს პროფესიული კვალიფიკაციების შექმნისა და განვითარების მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ინსტრუმენტს. ასევე, მნიშვნელოვანია აღნიშნულ კვლევებში აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ ბაზრის მიმდინარე მდგომარეობის ანალიზზე, არამედ მოხდეს შრომის ბაზრის მომავალი საჭიროებების იდენტიფიცირება, რაც საშუალებას მისცემს განათლების სექტორს წინსწრებით განჭვრიტოს და მოამზადოს იმ კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომლებზე მოთხოვნაც უახლოეს მომავალში წარმოიქმნება შრომის ბაზარზე. ,
- მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების მიერ შრომის ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ კომუნიკაცია ხორციელდებოდეს პროფესიული კვალიფიკაციების შექმნასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციასთან; მნიშვნელოვანია, რომ შრომის ბაზრის კვლევა ხორციელდებოდეს როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე, როგორც ჰოლისტურად, ისე დარგობრივ ჭრილში. სექტორული კვლევები მეტად ფოკუსირებულია კონკრეტული დარგის/მიმართულების საჭიროებების იდენტიფიცირებაზე და შესაბამისად, წარმოადგენს პროფესიული კვალიფიკაციების განვითარებისათვის უფრო დეტალური და სიღრმისეული ინფორმაციის მიღების საშუალებას. მნიშვნელოვანია, რომ კვლევების პროცესში ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ მოთხოვნადი ვაკანსიების იდენტიფიცირებაზე (რაოდენობრივი კმაყოფილება), არამედ ამ ვაკანსიებისთვის საჭირო უნარების, კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების გამოვლენაზე (თვისობრივი კმაყოფილება). იმისთვის, კვლევისთვის გამოყენებული ინსტრუმენტები უნდა იძლეოდეს საშუალებას შეფასდეს დამსაქმებელთა მხრიდან კონკრეტული კვალიფიკაციების მქონე კადრების უნარებით კმაყოფილება
- მნიშვნელოვანია, შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების მიერ გააქტიურდეს ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ზრდას და ცნობადობის ამაღლებას;
- მნიშვნელოვანია, სისტემის დონეზე განვითარდეს პროფესიულ განათლებაში ჩართვისათვის დამსაქმებელთა ნახალისების მექანიზმები.

რეკომენდაციები პროფესიული კვალიფიკაციების განვითარებაზე პასუხისმგებელ უწყებას:

- მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული კვალიფიკაციების შექმნა/განვითარების პროცესი დაეფუძნოს შრომის ბაზრის მიმდინარე და

სამომავლო მოთხოვნების ანალიზს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ერთი მხრივ, ქვეყანაში არსებული კვალიფიკაციების შესაბამისობას შრომის ბაზრის სტრუქტურასთან, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მის შემდგომ განვითარებას, რადგან მოამზადებს და შრომის ბაზარს შესთავაზებს კადრებს, რომელთაც ექნებათ ინოვაციური ცოდნა და უნარები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება შრომის ბაზრის მომავალ საჭიროებებთან.

- მნიშვნელოვანია გადაიხედოს არსებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეებთან, რაც ხელს შეუწყობს არსებული კვალიფიკაციების შემდგომ განვითარებას; მნიშვნელოვანია, არსებული პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების პროცესში გათვალისწინებული იქნას ევროპაში მოქმედი საუკეთესო პრაქტიკა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი კვალიფიკაციების შესადარისობას და შესაბამისობას ევროპულ კვალიფიკაციებთან.
- მნიშვნელოვანია, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და სტრუქტურის გათვალისწინებით, განხორციელდეს ახალი პროფესიული კვალიფიკაციების ინიცირება.

11. გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N69/ნ “ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ”;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება N120/ნ “ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ”;
- *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2018). ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა. <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=5c2a826f-8d65-4566-b92f-f335852784cb>*

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2018). საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Content&ID=a60c6446-f408-4ccc-8325-eaffcf86ecf0>
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2018). საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Content&ID=a60c6446-f408-4ccc-8325-eaffcf86ecf0>
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2019). საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=30ad9f6d-7c9e-48f2-b90c-d56bc719d0bd>
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2019). სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა. <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=1cf1efe2-ade4-4ff9-a716-5299ead1b260>
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2017). უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა. <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=f7fe927d-6684-47f9-9da2-da850754aad3>
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2020). უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა. <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=7d9ca7cd-cc1b-45ed-9f8f-394b060d9abe>
- ევროკავშირი საქართველოსთვის (2019) „შრომითი ბაზრის ანალიზი 2018-2019“.
- Estonian Qualifications Framework (EstQF). Estonian Qualifications Authority. Retrieved June 10, 2021, from <https://www.kutsekoda.ee/en/estonian-qualifications-framework-estqf/>
- Occupational Qualification Standards. Kutseregister. Retrieved June 10, 2021, from https://www.kutseregister.ee/en/standardid/standardid_top2/
- Qualification search. (2018, November 26). © 2021 Federal Ministry of Education and Research. https://www.dqr.de/content_en/2316.php